გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 54

2024 წლის 12 აპრილი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ფ/პ დავით კარბელაშვილისთვის (პ/ნ 59001025283) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 02 იანვარს № 19/2024030275-20 განცხადებით მომართა მოქ. დავით კარბელაშვილმა (პ/ნ 59001025283), რომელშიც აღნიშნულია, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და მოქ. დავით კარბელაშვილს შორის გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებას, 2024 წლის 1 მარტს ამოეწურა მოქმედების ვადა.
აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქ. დავით კარბელაშვილის მიერ მოთხოვნილია, საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელება, რომლის საგანს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 300 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.46.24.509.602 (მისამართი: მუნიციპალიტეტი გორი, ადმინისტრაციული ერთეული კარალეთი, ბლოკი N516, ნაკვეთი N010). განმცხადებელი, საიჯარო ქირას იხდის პირნათლად და გამოთქვამს სურვილს გაუგრძელდეს საიჯარო ხელშეკრულება 10 წლის ვადით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2024 წლის 28 თებერვლის N052-ქ, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.46.24.509.602, დაზუსტებული ფართობი - 300.00 კვ.მ (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი N516, ნაკვეთი N010), საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 69 300.00 (სამოცდაცხრაათას სამასი) ლარი.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.46.24.509.602 არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ფართობით: 300 კვ.მ (მისამართი: მუნიციპალიტეტი გორი, ადმინისტრაციული ერთეული კარალეთი, ბლოკი N516, ნაკვეთი N010), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს ჯერ ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" და „დ.დ" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (მისამართი: მუნიციპალიტეტი გორი, ადმინისტრაციული ერთეული კარალეთი, ბლოკი N516, ნაკვეთი N010), ს/კ 66.46.24.509.602 არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობით: 300 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს მოქ. დავით კარბელაშვილს (59001025283), კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად.
2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.46.24.509.602, დაზუსტებული ფართობი - 300.00 კვ.მ (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი N516, ნაკვეთი N010), საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 69 300.00 (სამოცდაცხრაათას სამასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 14760 (თოთხმეტიათას შვიდას სამოცი) ლარით.
4. ს/კ 66.46.24.509.602 მიწის ნაკვეთზე განსახორციელებელი ნებისმიერი სამუშაოები შეთანხმებული იქნას, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან. ასევე, მერიის საჭიროებიდან გამომდინარე, მოთხოვნის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად

შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება, რაც 2 (ორი) კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს. დამონტაჟებული მსუბუქი კონსტრუქცია აღებულ იქნეს ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით, ,,მეიჯარის'' მიერ განსაზღვრულ ვადაში.

5.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 10 (ათი) წლის ვადით.

6.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**